



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №7

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 13 აგვისტო
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;

ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ დირექტორი - სულხან ევგენიძე;

ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ დირექტორი - ჯუმბერ კობალაძე;

ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ დირექტორი ასლან გელაძე;

ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ დირექტორი - დავით დიასამიძე;

შპს „სანდასუფთავება“ დირექტორი - დავით დუმბაძე;

შპს „ბათუმის ავტოპრანსპორტი“ დირექტორი - ბადრი ფარტენაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი -
ლელა ნემსაძე;

- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და
აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი 5
სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ და მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის
გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის
თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს
წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების
შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N35
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის
ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უძრავი ქონების აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის
შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

არ ესწრებოდა - 1 (გ. დეკანაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე-მიესალმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში უწევს ერთი და იმავე საკითხების განმეორება, რომელიც რეგლამენტის მიხედვით მიუღებელია. თამარის დასახლებაში მწყობრიდან გამოსულია სახლები, გადახრილია სახურავები, დაფინანსების წესით მოსახლეობას შეტანილი აქვს განცხადება და მოწესრიგებული არის მათი მხრიდან ეს საქმე, თუმცა ერთი წლის განმავლობაში პასუხის მოლოდინში არიან, ეს გახლავთ ბარაკის ტიპის ორსართულიანი და სამსართულიანი სახლები, გარდა ამისა ქუჩაში დისკომფორტს უქმნის დამსვენებლებსა და მოსახლეობას სახლებზე სავალ ნაწილში გადმოსული კონდიციონერები, ამაზე რეგულაციები დაწესებული იყო და მისაქცევია ყურადღება.

მოსაცდელეები გაკეთდა უხარისხოდ და ცუდი კონსტრუქციაა. ფაქტიურად შიგა ნაწილები იშლება. ქუჩებში არის გადაჭედილი ბარიერები, სადაც იმტვრევა მანქანები. საკრებულოს რეგლამენტიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ კონტროლზე ასაყვანია წამოჭრილი საკითხები, რადგან მის მიერ დაყენებული საკითხები არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როგორც ქალაქისათვის, ასევე, მოსახლეობისთვისაც. საკრებულოს წევრის მიერ დასმული კითხვები შესაბამისი სამსახურის მიმართ უნდა იყოს კონტროლზე აყვანილი და პასუხი უნდა მიიღოს ერთი კვირის ვადაში. სამი წლის განმავლობაში დასმული კითხვები, პასუხგასაცემია.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ქალაქში საცობები მოსახლეობას აწუხებს, ამაზე ინტენსიურად მუშაობს სამსახურები, მაგრამ რუსთაველის ქუჩაზე-დელფინარიუმთან მუდმივად საცობია და ტერიტორია პარალიზებულია. შესაძლებელია თუ არა გადასასვლელი ხიდის გაკეთება აღნიშნულ მონაკვეთზე. ასევე ქალაქში ხშირად ხვდებით გაუმართავ მანქანებს და პრაქტიკულად გამონაბოლქვი აზიანებს ჰაერს. მივმართოთ საპატრულო სამსახურს რომ მაქსიმალურად, ეფექტიანად იმუშაოს.

საკრებულოს წევრი-მირდატ ქამადაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეს მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ, დიდი ხნის მოთხოვნის შემდეგ განიხილება ბიუჯეტი, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო ვირუსს კოვიდ 19-ს დაბრალდა. გასაგებია, რომ არა მარტო კოვიდ 19, არამედ მთელი 8 წლის განმავლობაში ქართულმა ოცნებამ რა პრობლემებიც შექმნა, სურს რომ კოვიდ 19 დააბრალოს. მან შეახსენა საზოგადოებას და კოლეგებს, რომ წარმოდგენილ ანტიკრიზისულ გეგმაზე არავინ არ შეიწუხა თავი, თუმცა დღეს წარმოდგენილ ბიუჯეტზე კონკრეტულად რაც ხმარდება ე.წ. პოსტკრიზისული გეგმა არ გააჩნიათ, უბრალოდ ფორმალურად კანონის მოთხოვნების დაცვას ემსახურება ბიუჯეტი, მას აინტერესებს, რომ თვითმმართველობა ზოგადად მიმართულია ქალაქის კეთილდღეობისთვის, რა ნაბიჯები გადაიდგა, რომ დღეს წარმოდგენილ ბიუჯეტში ვერ ვხედავთ ცენტრალური ბიუჯეტიდან ვერცერთ თეთრს, რომელიც შეიძლებოდა ტრანსფერის სახით მიეღო ქალაქ ბათუმს, მაშინ როდესაც მის მიერ წარმოდგენილ წინადადებებში იყო საუბარი, რომ მიემართათ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რაზეც სასაცილოდ არ ეყო უმრავლესობას და საუბრობდნენ, რომ მათ კომპეტენციას არ განეკუთვნოდა და ა.შ. მას აინტერესებს თუ რატომ არ გადაიდგა არცერთი ნაბიჯი, როცა 3 მილიარდ ნახევარ დახმარებას ელოდა ქვეყანა ვირუსის გამო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისაგან. 3 მილიარდ ნახევრიდან ბათუმს შეეძლო თუ არა მიეღო ეს თანხა. დღეს სეკვესტრი შემოგვაქვს ბიუჯეტიდან. ესმის ეს სეკვესტრი საიდანაც არის განპირობებული და ბუნებრივია, მაგრამ ნორმალური და კომპეტენტური მუშაობის შედეგად შეგვეძლო ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტში სეკვესტრის სახით არ ასახულიყო, ამანაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ ზოგადად არა თუ მოვლენებს მართავთ, არამედ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები გმართავთ თქვენ. მოხდება ვირუსი, შემდგომ დაიწყებთ ფიქრს რა უნდა ქნათ, თუმცა წინასწარი ხედვა არ გააჩნიათ. სამწუხაროა, რომ ამას ხედავს მოსახლეობა და ამაზე სავარაუდოდ დარწმუნებულია, რომ სათანადო პასუხს გაგცემთ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID -19) პანდემიად გამოაცხადა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიისათვის მზაობისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, იმისათვის, რათა სახელმწიფომ შეასრულოს კონსტიტუციური

ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 21 აპრილამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომელმაც თავის მხრივ შეანელა ეკონომიკური პროცესები, რომლის შესაბამისადაც შემცირდა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლები. აღნიშნული შედეგი უკვე აისახა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებზე, ხოლო პანდემიით გამოწვეული დაბალი ეკონომიკური აქტივობის შედეგად იკლებს მომავალ პერიოდში მისაღები შემოსავლები. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტმა შესძლოს საკუთარი უფლებამოსილები შეუფერხებლად განხორციელება, საჭირო გახდა შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზება ან დაზოგვა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტმა მიმართა საქართველოს მთავრობას მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების (ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადის (2020 წელს არსებული გადასახდელების მომდევნო 2 წელზე გადანაწილება) ცვლილების თაობაზე, საურავების დარიცხვის გარეშე, რაზედაც მიიღო თანხმობა (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განმარტებითი ბარათი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე ივლისის N1226 განკარგულება). ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარდამავალი პროექტების და გადაუდებლად საჭირო ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 10 300 000 (ათი მილიონ სამასი ათასი) ლარი. ასევე მიმდინარე სახის გადაუდებელი ღონისძიებების, ცალკეული ვალდებულებების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით შემცირებულ/გაუქმებულ იქნა რიგი პროგრამები და ქვეპროგრამები. შესაბამისად ცვლილებები შეეხო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებს და გადასახდელების ცალკეული პროგრამებს/ქვეპროგრამებს; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები; წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე მიესალმა კოლეგებს და მომხსენებელს მიმართა, რომ საუბარი დაიწყო ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა იმას, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან საქართველოს ტრანსფერის სახით 2 მილიონი მიუღიათო. იქნებ განმარტოთ საზოგადოებისათვის

ნათელი რომ იყოს რას მოხმარდება აღნიშნული თანხა. ასევე აინტერესებს ქვეყანაში ვირუსით გამოწვეული კოვიდი, კრიზისი რომ არ ყოფილიყო 2 მილიონს მიიღებდნენ თუ ვერა და კონკრეტულად კოვიდით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით მიღებული იქნა თუ არა 1 თეთრი მაინც.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკურ განცხადებების გაკეთებას არ აპირებს საჯარო მოხელეობის გამო, მოცემულობებიდან გამომდინარე სპეციალური ტრანსფერი არის, როცა სახელმწიფო ბიუჯეტით იხდის იმ კაპიტალური პროექტის შესრულების მიხედვით, რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს, ანუ დასრულებული პროექტის კაპიტალური პროექტით, რომელიც KFW ბანკის მიერ გამოყოფილი სამუშაოების გათვალისწინებით აიღებს. კოვიდთან კავშირში, მიმდინარე ხარჯის დაფინანსებისათვის არ არის განკუთვნილი, ეს არის კაპიტალური პროექტების დაფინანსებისათვის განკუთვნილი. თქვენი განმარტება, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან დახმარება არ იქნება გამოყოფილი და ამის თაობაზე მუნიციპალიტეტს არ უმუშავია, ამაზე პასუხს გაგცემთ, თუ ჩვენი კუთხიდან რა სამუშაოები იქნა ჩატარებული. მუნიციპალიტეტი არ არის ცალკე განყენებული ორგანიზაცია, ეს მთლიანად ქვეყნის შემადგენელი კომპონენტია. ფინანსური ერთობლიობის ფარგლებში, რაც ქვეყანას გააჩნია ამ კუთხით ხდება ურთიერთრესურსების გათვალისწინება და შესაბამისად ურთიერთთანაბარ ზომიერად პასუხისმგებლობის გაზიარება. კონკრეტულად რაც შეეხება ფაქტს, მუნიციპალიტეტმა დააყენა შემცირებული შემოსავლების საკითხი ცენტრალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ თანხა გამოყოფილიყო, თუმცა ორი საკითხი გადაწყდა მნიშვნელოვანწილად და ორ კომპონენტად-ერთი, რომ თანხა გამოყოფილიყო და სესხად იქნებოდა, მაგრამ ეს სესხის გადავადება არ ნიშნავს, იმას, რომ KFW-თან მიმართებაში არ გადაგვიხდია. სესხის ძირითად თანხას და გადავადებული თანხაც რაც არის, ჩვენს შემთხვევაში 24 მილიონს ფარავს სახელმწიფო ბიუჯეტი და ჩვენ გადაგვივადა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მუნიციპალიტეტს 2 წლის ვადით, არანაირი ზედმეტი სარგებლის დარიცხვისა და არანაირი დამატებითი საზღაურის გარეშე, ანუ შეიძლება გამოყოფილიყო ტრანსფერი, თუმცა სესხს გადავიხდიდით, მაგრამ ტექნიკური კუთხით რაც სახელმწიფო ბიუჯეტთან პარამეტრების მიხედვით არის. იმ სახელმწიფო ვალდებულებების წინაშე, რაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ აიღო ისევ და ისევ, იმ

რესურსების და ჩვენი საკითხების გათვალისწინებით, ერთიანი კოორდინირებით, რასაც ვგულისხმობ ავტონომიურ რესპუბლიკასთან ურთიერთანამშრომლობით მოხდა ეს გადაწყვეტილება, რაც მგონი მუნიციპალიტეტისთვის ფინანსური რესურსი, ავტონომიური რესპუბლიკიდან ათი მილიონ სამასი ათასი, დღეის მდგომარეობით არა მარტო მუნიციპალურ ბიუჯეტში კაპიტალური პროექტები შენარჩუნებული იქნა, არამედ დაახლოებით 10 მილიონ ლარზე მეტი ახალი კაპიტალური პროექტები იქნა დამატებული. ამაზე მეტი მოთხოვნების შესაძლებლობა დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა და შესყიდვების პროცედურების გათვალისწინებით საკმარისი რისკის შემცველი, ამიტომ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული და ჩვენი გადმოსახედიდან ოპტიმალურია და მისაღები.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძე - ედნარ პოლიტიკური განცხადება გამოგივიდათ, როდესაც საუბრობთ, რომ ერთიანი შემადგენელი ნაწილია თვითმმართველობა, მაგრამ სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობები აქვთ, თვითმმართველობა საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მეტი დეცენტრალიზებისკენ მივდივართ, მათ შორის ქართული ოცნების გაცხადებული პოლიტიკა იყო, როდესაც ხელისუფლებაში ეს დეცენტრალიზაციის შემადგენელი ნაწილი საერთოდ არ არის. არცერთი კანონმდებლობა არ კრძალავს მოგეთხოვა იმდენი ტრანსფერი, რომ ბიუჯეტიდან გადაგვხადა სესხი და სოციალური მიმართულებებითაც გვქონოდა დღეს ცენტალური ბიუჯეტიდან იმიტომ, რომ 3 მილიონ ნახევარი ბათუმელებს არ ეკუთვნის? მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა არ განხორციელებულა. მას აინტერესებს ამ ვითარებაში, როდესაც ბიუროკრატიულ ხარჯებს რაღაცით თითქოს შევამცირებთო, მაგრამ დღეს ვხედავთ 2 მილიონ 176 ათას ლარს ვტოვებთ მაინც ბიუროკრატიულ ხარჯებში-საქონელი და მომსახურეობაზე, რაც მოგეხსენებათ, რომ არის წარმომადგენლობითი ხარჯები, მანქანები და ა.შ. საკუთარ კომფორტზე, როდესაც მოქალაქეებს ვთავაზობთ, რომ იკმარე 300, 200 ლარი, მაგრამ ამასაც ვერ ვაძლევთ, იმიტომ რომ ზოგმა დოკუმენტი ვერ მოიტანა, მაგრამ ჩვენ 1 თეთრს არ ვიკლებთ, რამდენად გასასამართლებელია?

მომხსენებელი-ციფრობრივად ზუსტადაა გაწერილი რამდენი იქნა დაკლებული, დღესაც დევს ელექტრონულად საჯარო ინფორმაცია. 01 კოდი-საქონელი და

მომსახურება წარმოადგენს საკრებულოს, მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის შრომის ანაზღაურებას. გარდა ამისა წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობების სახელმწიფო დაცვის სამსახურების დაახლოებით 700 ათას ლარამდე თანხას. ასევე ყველა იმ საოფისე მიმდინარე სახის ღონისძიებების ხარჯებს. წლების დინამიკის მიხედვით კლებს.

საკრებულოს წევრი ნატლია ზოიძე - ნუ ცდილობთ შექმნათ ისეთი ილუზია, რაც მიუღებელია. ეს არის საჯარო ინფორმაცია. მე-4 გვერდზე წერია, რომ ა(ა)იპ-ი ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამმართველოს პუნქტში ავტომანქანის შეძენა ამოღებულია, კომპიუტერის შეძენა ამოღებულია და ა.შ. ტენდენცია იმასთან დაკავშირებით, რომ საერთოდ არ ხდება ხარჯების გადახედვაო, მაქსიმალურად ხდება გადახედვა, რომ თანხები სწორად იქნას გათვალისწინებული, რაც აუცილებელია სასიცოცხლო ფუნქციონირებისათვის ან ტენდენციის მიხედვით ხდებოდა ყოველწლიურად ადმინისტრაციული თუ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება. გაუჩდა მას განცდა, რომ ერთიან ნაციონალური მოძრაობის წევრებს იქითკენ მიჰყავთ საქმე, რომ იმდენად შემცირდეს და განულდეს ყველა ხარჯი, პარალიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

საკრებულოს წევრმა - ლაშა სირაბიძემ რეპლიკის სახით თქვა, რომ მათი ამდენი პოპულიზმი აღარ შეიძლება, რადგან იციან როცა საკრებულოში იყვნენ და კონკრეტული თანამდებობები ეჭირათ და იმ პერიოდისთვის რა ხელფასები, საწვავები ჰქონდათ, მართლაც ამ 8 წლის განმავლობაში აბსოლუტურად გასაგებია. საზოგადოებას მიმართა, რომ საკრებულოს მოადგილეს ჰქონდა 3700 ლარი ხელფასი ხელზე, ახლა მე პირადად დღეს აქვს 2620 ლარი ხელზე ასაღებად. საწვავი მაშინდელ მოადგილეს ჰქონდა 500 ლიტრი, ახლა არის 200 ლიტრი. დანარჩენი საზოგადოებამ განსაჯოს, 8 წლის განმავლობაში პრეტენზიები მათ აქვთ, შეფასება მოსახლეობამ გააკეთოს.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე - დეპუტატობის კანდიდატები როცა იყვნენ და მოსახლეობასთან შეხვედრები ჰქონდათ საზოგადოებას პირდებოდნენ ქალაქის განვითარებას. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ინფრასტრუქტურული პროექტები. ყველას გვინდა, რომ ქალაქი იყოს ევროსტანდარტების დონეზე მოწყობილი. ფიქრობს, რომ დღევანდელ

ბიუჯეტში დამატებითი ხარჯები არაპირდაპირ მოიცავს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც მისთვის მნიშვნელოვანია. მან თხოვნით მიმართა, რომ ძალისხმევით მანუი მომავალი წლის ბიუჯეტში მოხდეს გათვალისწინება.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე- მიმართა მომხსენებელს, რომ საბავშვო ბაღებში მოხდება ავეჯის შეძენასთან დაკავშირებით შემცირება, როცა მიმდინარე წელს რამდენიმე ბაღი უნდა აშენდეს. შემცირება მოიცავს ერთიანად ყველაფრის მიმართ. ასევე კულტურულ ღონისძიებები შემცირებულია პანდემიის გამო. ეს ისეთი რამ არის ხვალ და ზეგ შეიძლება ან არ შეიძლება დასტაბილურდეს ყველაფერი. როგორ გაქვთ მოფიქრებული შემდგომში და მასობრივ ღონისძიებებისგან რომელი გაქვთ დატოვებული. შემცირების ხარჯზე ხომ არ ფიქრობთ ხელფასების გაზრდას?

მომხსენებელი- ხელფასების დამატება ამ ეტაპზე არ განიხილება, რაც შეეხება მომავალი წლის ბიუჯეტით წინასწარ საუბარი შეუძლებელია, იმიტომ რომ სექტემბრიდან დაიწყება ბიუჯეტზე მუშაობა, გარდა ამისა, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური პარამეტრები, რის საშუალებითაც ქვეყანაში არსებული ეკონომიკა მოგვცემს. რაც შეეხება კულტურის და სპორტის ღონისძიებებს, ყველა არსებული ღონისძიება იმდენად მასშტაბური მიმართულებებით იყო გათვლილი, რომ არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით რიგი ღონისძიებების გაწერის პერიოდები გავლილია და ამოღებულ იქნა, ერთადერთი დამატებული იქნა ახალი ღონისძიება- „ზაფხულის ფესტივალი ბათუმში“, იმიტომ, რომ სხვა გარემოებებით პროგრამული გაწერა ხდება. გარდა ამისა, განათლების სამსახურს რჩება ერთი ღონისძიება თავისუფალი ინიციატივები, 140 ათასი ლარის ფარგლებში. სხვა ყველა ღონისძიება ამოღებულია.

საკრებულოს წევრი მუხამედ ართმელაძე- სამწუხაროა ის, რომ ასეთ ფორმატში განვიხილავთ ბიუჯეტს, კოვიდ 19-თან მიმართებაში ყველა ქვეყანას მოუხდა ბიუჯეტის გადახედვა. შემოსავლებში კლებაა, მაგრამ დიდი მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურს ოპტიმალური ბიუჯეტისთვის, რომელიც მორგებულია მოსახლეობაზე. ის ძირითადი პრობლემები, რომელიც დაგეგმილი იყო, აღმოფხვრილი იქნა, მადლობა გადაუხადა აჭარის ა. რ მთავრობას, რადგან გამოყოფილი თანხის გარეშე, ვერცერთი პრობლემა ვერ იქნებოდა მოგვარებული.

თხოვნით მიმართა მერიას, რომ ყოველთვის ვერ იქნებიან სხვაზე დამოკიდებული. თუ იქნება საშუალება მომავალი წლის ბიუჯეტში მაქსიმალურად იქნას გადახედვა შემოსავლების ნაწილის, რათა ბევრი შემოსავალი გვექონდეს, რადგან მომავალ წელში რა ვითარება განვითარდება და დღევანდელი პროცესი როგორ გაგრძელდება, არავინ არ იცის.

საკრებულოს წევრი ლევან ანთაძე- ბიუჯეტის პროექტს გადახედა, მაგრამ ვერ ჩათვლის, რომ კრიზისული ბიუჯეტია, რეალურად არაფერი მცირდება. ქალბატონმა ნატალია ზოიძემ ზარზეზე მით აღნიშნა, რომ ყველა ცვლილების დროს ხარჯები მცირდება, თუმცა ბიუჯეტში სულ სხვა რამაა, რაც შეეხება მომსახურებას 300 ათას ლარს, სასაცილოა. საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებს და იქაური კომუნალური გადასახადები ისახება, ამდენად რომელ შემცირებაზეა საუბარი. მან ვერ ნახა ვერცერთი პუნქტი, რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანს შეეხება და რაღაც შეღავათს გაუწევს. ადამიანებმა დაკარგეს სამსახურები, ლუკმა-პური და ბიუჯეტში არცერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული. ტურისტულ ობიექტზე არცერთი თეთრი არ არის დამატებული. 23 ათასი ლარით შემცირდა კაზინოების მოსაკრებელი.

მომხსენებელი- სესხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დიდი მსესხებელი არის სახელმწიფო, თანამსესხებელი მუნიციპალიტეტი. სესხის გადავადება KFW ბანკთან შეთანხმებით ხდება, ვინაიდან თანამსესხებელი და კონტრაქტორი ჩვენც ვართ, უბრალოდ ცენტრალურ ბიუჯეტმა ვალი რომ აიღო წელს ის გადაიხდის და ჩვენ 2 წელიწადში გადაუხდით. ტურისტულ სეგმენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მიღებული შემცირებული შემოსავლები ეს არის ქონების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადის ნაწილი და დამატებითი ღონისძიების გადასახადი. ცენტრალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით გადაუვადდა კერძო სუბიექტებს არსებული გადასახადები წლის ბოლომდე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ 300 ლარიან შემცირებას ეს არის მერიისა და საკრებულოს, სხვა შემთხვევაში 3 მილიონამდე იზრდება. ბაღებთან დაკავშირებით შემცირებებია კომუნალური ხარჯების ჩათვლით, რაც შეეხება შტატების დამატებას ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით 1 სექტემბრიდან შრომით კოდექსში შედის ცვლილება, რომ ცენტრალურ ხელისუფლებამ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და დაემატა პოზიციები.

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჩიქოვანი მიესალმა კოლეგებს, თანამოქალაქეებს, სამსახურის ხელმძღვანელობას. მან გაჟღერებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მოკლედ შემოიფარგლა, რომ პანდემიისა და კრიზისის მართვას, რაც შეეხება ვერ დაეთანხმება შეფასებებს, რომ რაღაცები არ იყო გათვალისწინებული. ჩვენი ქვეყანა და ხელისუფლება მსოფლიო მასშტაბით არის მოწინავე ეპიდემიასთან ბრძოლაში და ამ ბრძოლას წინასწარ ვერცერთი ბიუჯეტი ვერ განსაზღვრავს. გამომდინარე აქედან ქალაქის მუნიციპალიტეტს მოუწია მიჰყოლოდნენ იმ რეგულაციებს, შეზღუდვებს და ბრძოლის იმ მეთოდიკას, რომელიც დასახა ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ხელისუფლების და ქვეყნის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით იყვნენ პირველები საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით, კერძოდ, სადებიზინფექციო სამუშაოები გაკეთდა და დისპანსერები დამონტაჟდა, მაგრამ იყო საკითხები ცენტრალურ დონეზე მოსაგვარებელი და არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოქალაქეებისათვის რომელი რგოლი და უწყება მოაგვარებდა. აქ ყველანი ვართ ერთიანი და ერთიანობის გარეშე. გრძელდება ვირუსულ ინფექციასთან ბრძოლა იმ რეგულაციების გათვალისწინებით, რაც აკისრია სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს. წარმოდგენილმა ბიუჯეტმა შესაძლებლობა უნდა მოგვცეს, რომ გაგრძელდეს წინსვლა, ინფრასტრუქტურული პროექტები, დაემატოს ახალი პროექტები, წლის დასაწყისში ბიუჯეტი დაგეგმილი იყო საკმაოდ ოპტიმალურად,

საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე - ჩიქოვანის საპასუხოდ აღნიშნა, რომ პანდემიის შედეგად, როცა დეცენტრალიზაციაზეა საუბარი, ქვეყანამ ამხელა კრიზისი გადაიარა და ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა იქეთკენ, რომ 3 მილიარდ ნახევარს იღებს ქვეყანა დახმარების სახით და ეს ჩვენს ბიუჯეტში ასახულიყო. ამ მიმართულებით მუშაობა არ წარმოებულა, ერთი თეთრი არ არის ტრანსფერი. რაც შეეხება იმ ხარჯებს, რომელზეც არის საუბარი, 1 მაისს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე სასაცილოდ არ ეყო თავმჯდომარეს, თურმე იურიდიულ საკითხებში ვერ ერთვებაო, რომ წაეკითხა ზუსტად ეს იყო წარმოდგენილი გადასახადების შემცირება. ეფექტური ხელისუფლების მთავარი დანიშნულება არის ის, რომელ გუნდსაც მერმა წარმატებული უწოდა. წარმატება არის რაღაცას რომ კარგად მართავ, წინსწრები ხედვა უნდა ოყოს. ბიუჯეტი საერთოდ არ ასახავს იმ გადაწყვეტილებებს, რის გამოც შედის ცვლილება.

გამომდინარე აქედან ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრაზე მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - პოლემიკა იყო წარმოდგენილ ბიუჯეტთან დაკავშირებით, ცენტრალურ და აჭარის მთავრობასთან ერთად ჩატარდა ის სამუშაოები, რომელიც ასახულია ბიუჯეტში. ინფრასტრუქტურული პროექტების მხრიდან დაგეგმილი 5 პროექტია ამოღებული, რადგან სამწუხაროდ პანდემიის გამო ვერ გამოცხადდა ტენდერი. მომავალ წელში გამოცხადდება და დაემატება 18 ახალი პროექტი, რომელშიც შედის ქუჩა, ჩიხი, რაც მისასაღებელია. ყველა ორგანიზაციებმა შეძლეს კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. ტურისტულ სფეროში პანდემიის გამო მოეხსნათ გადასახადები მეწარმეებს. მოუწოდა კოლეგებს წარმოდგენილ პროექტზე მხარდაჭერა. მერიის შესაბამის სამსახურს მადლობა გადაუხადა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 3 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია“-ს წერილი (N10; N13344/25; 31.07.2020 წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაფუძნდა და ჩამოყალიბდა ბათუმის „სახალხო აკადემია“, სადაც გაერთიანდნენ ქალაქის ცნობილი ადამიანები: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრალეები. 56 წლის მანძილზე ბათუმის „სახალხო აკადემიელებს“ ადგილსამყოფელი ანუ როგორც იტყვიან ნავსაყუდელი არ გააჩნდა. ჯერ იყო და „ინტურისტის“ კაფეში

იკრიბებოდნენ, შემდეგ იმჟამინდელ რესტორან „აჭარა“-ს კაფეში, ხოლო 1990 წლიდან კი კაფე „საამოში“, ე.წ. „სტეკლიაშკაში“. 2018 წელს ბათუმის „სახალხო აკადემიამ“ იზეიმა მისი დაარსებიდან 55 წლისთავის იუბილე, მაგრამ სხვის ჭერქვეშ. ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იგი ადრეც და ამჟამადაც ღებულობს მონაწილეობას ქალაქ ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა იმ ღონისძიებაში, რომელსაც მოაქვს დადებითი თვისებები ხალხის კეთილდღეობისათვის. ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია“ თხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საოფისე ადგილსამყოფელით უზრუნველყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია“-ს (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მხატვრების, თეატრალების, არქიტექტორების და ა.შ.) გაეწიოს საქმიანობაში ხელშეწყობა საოფისე ფართით უზრუნველყოფის გზით და მას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. N6-ში მდებარე 67,18 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი 05.21.09.011.01.531).

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ დასვა კითხვა „სახალხო აკადემიელების“ შემადგენლობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი არის ასლან კაკაბაძე, შემადგენლობაშია: რამაზ სურმანიძე, ჯიმსონ გურგენიძე, მამული ჟღენტი, ანზორ კუდბა, ჯემალ ჩიჩუა, თეიმურაზ ბიბილეიშვილი.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ თავიდანვე აკადემია არ იყო, იყვნენ ადამიანები შეკრებილი ე.წ. „სტეკლიაშკაში“. აკადემიის ხელმძღვანელი იყო ლევან ღლონტი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ჩაიბარა ასლან კაკაბაძემ. ძირითადად შეკრებილი ხელოვანი ხალხისაგან შედგებოდა აკადემია. ძირითადად ცნება აკადემია ვერ ჩამოყალიბდა, რისგან და რა კატეგორიის ხალხისგან უნდა შედგებოდეს. ის ყველა ღვაწლმოსილ დამსახურებულ ხალხს პატივს სცემს და შემდგომ როგორც დამსახურებული კულტურის მუშაკი შეუერთდება აკადემიას. უზუფრუქტის სახით რატომ 2 წლით გადაეცემა და არა მრავალი წლით, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ შესაძლებელია გადაინაცვლოს სხვა ფართში და ამიტომ 2 წლით გადაეცემა.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შემადგენლობას უდიდეს პტივს სცემს, თუმცა ქონების გამოყოფა მიუღებელია. ასევე მან აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში იკრიბებიან, რომელსაც „აჭარის აკადემია“ ჰქვია ე.წ. კაპიტან პორტას

შენობაში, რისთვისაც მან ალტერნატიული წინადადება დააყენა. აკადემიის წევრები არიან: გია სურმანიძე, ჯიმშერ ცივაძე, ლევან ანთაძე, დავით მახაჭაძე, ნუგზარ კიკნაძე.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ მოუწოდა კოლეგებს საკრებულოს რეგლამენტის დაცვა.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ დღეს არასწორ გადაწყვეტილებას ღებულობენ, რადგან ცალსახაა, რომ 2018 წლის არჩევნების მეორე ტურის წინ გამოჩნდნენ „გაბრაზებული ბათუმელები“ პოლიტიკურად დაინტერესებული ხალხი, რომელიც პირდაპირ იყო ქართულ ოცნებასთან აფიშირებული და დღეს ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა წარმოდგენილი ხალხისგან. გამომდინარე აქედან ცალსახაა თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს, რადგან ქართული ოცნების მხარდამჭერებს აძლევენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას. მათ ხელოვან ხალხთან საწინააღმდეგო არ აქვთ და ბევრი საკითხი ხელოვნების და კულტურის დარგში ერთხმად გადაწყვეტილებები მიუღიათ, მაგრამ საუბრის, მსჯელობის შემდეგ იქნას მიღებული გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაცია 70-იანი წლიდან არსებობს, ეს პატივსაცემი ხალხია, რომლებიც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ ჩარეცხა.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არასწორია და ამის უფლება არ აქვთ, რომ უფასოდ გადაეცეთ. აუდიტთანაც იქნება პრობლემა. ასეთ პრობლემებზე ვისაუბრეთ მაგ. ავტობუსების რეკლამასთან დაკავშირებით. დღევანდელი გადაწყვეტილება პოლიტიკურია, რადგან საარჩევნოდ აძლევთ ადამიანებს ქონებას და აუცილებლად გადაიქცევა ქართული ოცნების მხარდამჭერთა შტაბად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

არ ესწრებოდა: 1 (დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 3 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 30 ივლისის №1379/02 (№13239/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა ქალაქ ბათუმის სამრეწველო ზონის ტერიტორიის დაგეგმარება, სხვადასხვა საწარმოების ამოქმედების, სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ეთხოვა მოსაზრების წარმოდგენა ე.წ. სამრეწველო ზონის საპროექტო არეალში უკვე არსებული ანძების მდინარის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზემონაცვლეობასთან დაკავშირებით. ასევე ეთხოვა ინფორმაციის მოწოდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ მახოს ხიდიდან ე.წ. სამრეწველო ზონამდე არსებულ მონაკვეთში დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, ტერიტორიების UTM კოორდინატების მითითებით. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ 2019 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარედგინა ქალაქ ბათუმში, ახალი სამრეწველო ზონის პროექტის არეალში ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების განთავსებისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები. შერჩეული მიწის ნაკვეთებიდან 2 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 100,0 კვ.მ. ს/კ 05.35.26.400 და 93,0 კვ.მ. ს/კ 05.35.26.398 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 09 იანვრის N01-01-10/47 კორესპოდენციის გათვალისწინებით სსიპ „სახელმწიფო ქიონების ეროვნული სააგენტო“-ს 2020 წლის 16 ივლისის N1/1-2393 ბრძანებით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. ახალი სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მათი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების მშენებლობის მიზნით და ითხოვს მითითებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა: 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(გ. დეკანაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 07 აგვისტოს N1489/02 (N13821/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 21 თებერვლის N25/2934 და 29020 წლის 13 ივლისის N25/13691 კორესპოდენციებით, ასევე ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციის“ 2019 წლის 22 იანვრის N07 კორესპოდენციის თანახმად დაისვა საკითხი ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 5067,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.02.139) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (N1-212,81 კვ.მ. და N2-209,83 კვ.მ.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოითქვა თანხმობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი მომართვის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოთ-აღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი წარადგინოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოთმითითებული ქონების პოზიტიური პირობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა: 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს შორის 2019 წლის 20 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით პოლიკლინიკას, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, ერთი წლის ვადით, უზუფრუქტის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული) და სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500). უძრავი ქონებების (ორი ობიექტი) წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა სიმბოლური ფასით - 1000,0 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 16 ივნისს შემოვიდა შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“ N01-09/593 (N9803/25) წერილი, რომლითაც მოითხოვა ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების ერთი წლის ვადით გაგრძელება, რისი მოთხოვნის უფლება მას გააჩნდა 2019 წლის 20 მაისის ხელშეკრულებით. ამასთან, ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2020 წლის 20 მაისს, ხოლო განცხადება შემოვიდა 2020 წლის 16 ივნისს, შესაბამისად ვერ მოხდება მისი გაგრძელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს კიდევ ერთი წლის ვადით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით, იგივე სიმბოლურ ფასად (წელიწადში 1000,0 ლარი), სამედიცინო მომსახურების გაგრძელების მიზნით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან

292,0 კვ.მ. ფართი (I სართული) და სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) მდებარე 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500).

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა - 2(დ. ჭეიშვილი, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საქმისწარმოებისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე

